საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №300
2018 წლის 2 მაისი

ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციელის სამსახურებრივი ფორმის ატრიბუტიკის და პირადობის მოწმობის ნიმუშის დამტკიცების შესახებ

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 14^2 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციელის სამსახურებრივი ფორმის ატრიბუტიკა (დანართი №1);

ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციელის პირადობის მოწმობის ნიმუში (დანართი №2).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციელის სამსახურებრივი ფორმის ატრიბუტიკისა და პირადობის მოწმობის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 30 სექტემბრის №222 ბრძანება;

ბ) „სააღსრულებო პოლიციელის სამსახურებრივი ფორმის ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2002 წლის 16 ივლისის №608 ბრძანება.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**